

**რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მოდიფიცირების თაობაზე**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ 2015 წლის 17 ივნისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" (№3691-11ს სარეგისტრაციო კოდი 045014000.05.001.017777) აღნიშნული კანონის მეორე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისიას დაეკისრა ვალდებულება 2016 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების მოდიფიცირება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კომისია აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში კერძოდ 38-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მაუწყებლობის სახეებია: ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა; მაუწყებლობის სახეობებია კერძო მაუწყებლობა და სათემო მაუწყებლობა, ხოლო კერძო მაუწყებლობის ქვესახეობებია საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობა. ამავე დროს 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად მაუწყებლობის ლიცენზირებისას მიეთითება მაუწყებლობის ენა/ენები.

კომისია აღნიშნავს, რომ მაუწყებლობის ენების დადგენის მიზნით ლიცენზიის მფლობელ რადიომაუწყებლებს დაეგზავნათ წერილები (დანართი №1), რათა კომისიაში 2015 წლის 15 ოქტომბრამდე წარმოედგინათ ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული მაუწყებლობის ენის/ენების შესახებ. რადიომაუწყებლებმა კომისიაში წერილობით წარმოადგინეს მოთხოვნილი ინფორმაცია.

კომისია აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ლიცენზირების რეჟიმი შენარჩუნებულ იქნა რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით რადიომაუწყებლობის განხორციელებისას.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ რადიომაუწყებლობის ცალკეული ლიცენზიების ტექნიკურ პარამეტრებში მითითებული სამაუწყებლო ზონების ნუმერაცია აღარ შეესაბამება კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებას, რომლის თანახმად 87.5მჰც-დან 108.0მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ზონა არის საკონკურსო პირობით განსაზღვრული, ერთი ან რამდენიმე გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის ან/და სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიას წერილობით მიმართა შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთმა" (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/8759-15, 13. 11.2015) და მოითხოვა კუთვნილი ლიცენზიის მოდიფიცირება. კერძოდ შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთი" ითხოვს კუთვნილი №B57 ლიცენზიით გათვალისწინებული სიხშირული რესურსის (104.8 მგჰც) კენტი რიცხვით დაბოლოებული სიხშირით (104.9 მგჰც) შეცვლას, ვინაიდან საქართველოში არსებული ავტომანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკული წარმოებისაა, რის გამოც მანქანაში არსებულ რადიომიმღებს, მხოლოდ კენტი რიცხვით დაბოლოებული სიხშირის მიღება შეუძლია.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2015 წლის 19 ნოემბრის №10/8974-15 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, ეთერში ელექტრომაგნიტური თავსებადობის შენარჩუნებით შესაძლებელია შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" კუთვნილი №B57 მაუწყებლობის ლიცენზიით განსაზღვრული სიხშირე 104.8 მგჰც შეიცვალოს 104.9 მგჰც სიხშირით.

შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" განცხადების საფუძველზე მისი კერძო მაუწყებლობის №B57 ლიცენზიის მოდიფიცირების მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია ხელმძღვანელობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც, იკრძალება საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის იმგვარად მოდიფიცირება, რომელიც გამოიწვევს ლიცენზიის სახეობის შეცვლას ან ლიცენზიით განსაზღვრული სამოქმედო ზონის სიდიდის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. კერძოდ, სახეზეა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა: ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე; ამავე დროს, შპს ტელე-რადიო კომპანია "თრიალეთის" კერძო მაუწყებლობის №B57 ლიცენზიის მოდიფიცირების შემთხვევაში არ დაირღვევა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ბ) კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის 2015 წლის 26 ნოემბრის №729/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისა და შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის მიზნით მოდიფიცირების თაობაზე. ზეპირი მოსმენა აღნიშნულ საკითხზე დაინიშნა 2015 წლის 24 დეკემბერს 15:00 საათზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2015 წლის 23 დეკემბრის №10/10287-15 და 24 დეკემბრის №10/10305-15 და №10/10300-15 სამსახურებრივი ბარათების შესაბამისად მიზანშეწონილია რადიომაუწყებლობის ლიცენზიებში ტექნიკურ პარამეტრებში მიეთითოს ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი, ხოლო მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა ჩაიწეროს შემდეგნაირად - ერთი ან რამდენიმე გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის ან/და სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2015 წლის 23 დეკემბრის №10/10287-15 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად იმ რადიომაუწყებლობის ლიცენზიებში სადაც არ არის მითითებული გადამცემის განთავსების ადგილი მიზანშეწონილია ტექნიკურ პარამეტრებში მიეთითოს გადამცემის განთავსების ადგილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას მიაჩნია, რომ ლიცენზიების ტექნიკურ პარამეტრებში ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანის თაობაზე უნდა დაიწყოთ ცალკე ადმინისტრაციული წარმოება მას შემდეგ რაც ამის თაობაზე წერილობითი ინფორმაცია დაეგზავნებათ იმ რადიომაუწყებლებს, რომელთა ლიცენზიებში არ არის მითითებული გადამცემის განთავსების ადგილი. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ ეტაპზე მოხდება იმ რადიომაუწყებლობის ლიცენზიებში, სადაც არ არის მითითებული გადამცემის განთავსების ადგილი მხოლოდ ლიცენზიის სახის, სახეობის, ქვესახეობის და მაუწყებლობის ენების განსაზღვრა. გამონაკლისია შპს "არტ რადიოს" რადიომაუწყებლობის №B52 ლიცენზია, რომელშიც სახე, სახეობა, ქვესახეობა და მაუწყებლობის ენები მოყვანილია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში, ამიტომ აღნიშნული ლიცენზიის ტექნიკური პარამეტრების მოდიფიცირება მოხდება ცალკე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 23 დეკემბერს კომისიას წერილობით მიმართეს ააიპ "არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივმა" (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №6/10/10252-15) და ააიპ "კავშირი მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის" (წერილის კომისიაში რეგისტრაციის №7/10296-15). ააიპ "არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივმა" დააზუსტა მაუწყებლობის ენები რადიომაუწყებლობის №B62 ლიცენზიასთან დაკავშირებით, ხოლო ააიპ "კავშირი მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის" მოითხოვა რადიომაუწყებლობის №B102 ლიცენზიის გაუქმება.

კომისია აღნიშნავს, რომ 2015 წლის 24 დეკემბერს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდა შპს „მომავლის რეკლამის“ დირექტორი სოსო ძნელაძე, რომელმაც დააზუსტა, რომ რადიომაუწყებლობის №B76 ლიცენზიისთვის მაუწყებლობის მინიმალურ ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში არის 16 საათი. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ვინაიდან მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ააიპ "კავშირი მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის" მოითხოვა რადიომაუწყებლობის №B102 ლიცენზიის გაუქმება კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა და ამავდროულად ააიპ მედია ცენტრის „ღია აფხაზეთისათვის“ რადიომაუწყებლობის №B102 ლიცენზიის გაუქმებისა და კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №434/1 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ", საქართველოს კანონის (№3691-11ს სარეგისტრაციო კოდი 045014000.05.001.017777), მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

**1.** მოდიფიცირდეს ააიპ "არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის" კერძო რადიომაუწყებლობის №B62 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 31 ივლისის №400/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა ააიპ "არასამეწარმო მედია-კავშირი ობიექტის" რადიომაუწყებლობის №B62 ლიცენზიას 2014 წლის 3 აგვისტოდან 2024 წლის 3 აგვისტომდე და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) მაუწყებლობის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, ინგლისური, რუსული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	105.1	FM	V	წრიული	500	41°42'50"N 44°49'44"E	40	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით;"

2. მოდიფიცირდეს ააიპ "ასოციაცია ათინათის" რადიომაუწყებლობის №B48 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №831/6 გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა ააიპ „ასოციაცია ათინათის“ მაუწყებლობის №B48 ლიცენზიას 2021 წლის 31 დეკემბრამდე და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, რუსული.
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
სოფ. ცაიში ურთას მთა	105.9	FM	V	წრიული	2000	42°24'48"N 41°49'06"E	40	4-6
ქ. ზუგდიდი	105.9	FM	V	წრიული	100	42°30'25"N 41°52'10"E	15	8

ზემოაღნიშნული (სინქრონულად ფუნქციონირებადი) გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**3. მოდიფიცირდეს ააიპ "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციის" რადიომაუწყებლობის №B86** ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2006 წლის 22 დეკემბრის №564/1 გადაწყვეტილებაში და ამ გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი ა	პოლარიზაცია V/H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი	95.9	FM	V	წრიული	2000	41°41'44"N 44°47'05"E	75	8
გორი	107.7	FM	V	წრიული	500	42°01'56"N 44°02'51"E	70	8
ახალციხე	100.9	FM	V	წრიული	500	41°37'48"N 42°57'25"E	40	8
თელავი	101.7	FM	V	წრიული	500	41°52'13"N 45°24'35"E	15	6
ქუთაისი	101.8	FM	V	წრიული	2000	42°16'49"N 42°44'11"E	75	8
ბათუმი	103.9	FM	V	წრიული	500	41°41'37"N 41°42'55"E	40	8
ზუგდიდი	104.6	FM	V	წრიული	2000	42°24'48"N 41°49'05"E	40	8
ახალქალაქი	102.9	FM	V	წრიული	1000	41°20'52"N 43°25'34"E	60	8
დმანისი	107.6	FM	V	წრიული	1000	41°22'38"N 44°12'52"E	150	6
დედოფლის წყარო	102.6	FM	V	წრიული	500	41°28'0.81"N 46°08'10.82"E	180	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომცლებით;

4. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ააიპ მედია ცენტრის „ღია აფხაზეთისათვის“ რადიომაუწყებლობის №B102 ლიცენზიის მოდიფიცირებისა და კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №434/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

5. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ააიპ მედია ცენტრის „ღია აფხაზეთისათვის“ რადიომაუწყებლობის №B102 ლიცენზიის გაუქმებისა და კომისიის 2008 წლის 25 ივლისის №434/1 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

6. ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართოს 2016 წლის 26 იანვარს 15:00 სთ-ზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს ზეპირი მოსმენის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

7. მოდიფიცირდეს ააიპ "კავშირი მედია ცენტრ ღია აფხაზეთისათვის" რადიომაუწყებლობის №B93 ლიცენზია შევიდეს ცვლილება კომისიის 2007 წლის 14 სექტემბრის №529/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს ააიპ კავშირი მედია ცენტრს "ღია აფხაზეთისათვის" რადიომაუწყებლობის №B93 ლიცენზია ერთი გადამცემის გამოყენებით 10 წლის ვადით;

2. რადიომაუწყებლობის №B93 ლიცენზიას განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, რუსული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ზუგდიდი, ურთას მთა, მაგთის ანძა	107.2	FM	V	მიმართული 3000	1000	42°24'48"N 41°49'05"E	35	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე.ბ) რადიომაუწყებლობა თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით.

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომცლებით;

3. მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;"

8. მოდიფიცირდეს ააიპ "კავშირი მედია ცენტრ ღია აფხაზეთისათვის" რადიომაუწყებლობის №B96 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2007 წლის 28 დეკემბრის №809/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს ააიპ კავშირი მედია ცენტრს "ღია აფხაზეთისათვის" რადიომაუწყებლობის №B96 ლიცენზია ოთხი გადამცემის გამოყენებით 10 წლის ვადით;

2. რადიომაუწყებლობის №B96 ლიცენზიას განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;

გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, რუსული;

ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

ე.ა)

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი ა	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი მთაწმინდის ანძა	98.9	FM	V	წრიული	1000	41°41'44"N 44°47'05"E	85	8
ქ. გორი ახალდაბის ანძა	98.9	FM	V	წრიული	1000	42°01'56"N 44°02'51"E	150	8
ქ. ქუთაისი ქუთაისის ტვ ანძა	98.9	FM	V	წრიული	1000	42°16'49"N 42°44'11"E	80	8
ქ. ბათუმი მწვანე კონცხი	105.0	FM	V	წრიული	500	41°41'37"N 41°42'55"E	45	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ე. ბ) რადიომაუწყებლობა თანამგზავრული სისტემების მიწისზედა და ორბიტალური სადგურების გამოყენებით.

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

3. მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;"

**9. მოდიფიცირდეს ააიპ "რადიო-ტვ ნორის" რადიომაუწყებლობის №B171 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2015 წლის 8 იანვრის №12/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. მიეცეს ააიპ "რადიო-ტვ ნორის" სათემო რადიომაუწყებლობის №B171 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ბ) ლიცენზიის სახეობა: სათემო მაუწყებლობა;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2025 წლის 8 იანვრამდე;

დ) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;

ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, რუსული, სომხური;

ვ) ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი ა	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
--	---------------	------------	-------------------	-----------	---------------------------	--------------------------	---	--------------------------------------

ქ. ნინოწმინდა	100.1	FM	V	წრიული	100	41°16'01"N 43°35'19"E	30	5
------------------	-------	----	---	--------	-----	--------------------------	----	---

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**10.** მოდიფიცირდეს ი/მ **“კორნელი შულაძის”** რადიომაუწყებლობის №B123 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2012 წლის 9 მარტის №197/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. მიეცეს ინდ. მეწარმე „კორნელი შულაძეს“ კერძო მაუწყებლობის №B123 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2022 წლის 9 მარტამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაციას	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
თერჯოლა, საპოვნელას საკომუნიკაციო ანძა	100.6	FM	V	წრიული	500	42°10'53"N 42°47'09"E	50	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**11.** მოდიფიცირდეს შპს **„დამოუკიდებელმა ტელე-რადიოკომპანია ოდიშის“** რადიომაუწყებლობის №B92 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2007 წლის 3 აგვისტოს №445/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. მიეცეს შპს „დამოუკიდებელ ტელე-რადიოკომპანია ოდიშს“ კერძო მაუწყებლობის №B92 ლიცენზია, ოთხი გადამცემის გამოყენებით, 10 წლის ვადით;

2. რადიომაუწყებლობის №B92 ლიცენზიას განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 12 საათი;

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურების მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

3. მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი ა	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ზუგდიდი, ზუგდიდის ანძა	102.9	FM	V	წრიული	1000	42°24'48"N 41°49'05"E	45	8
წალენჯიხა, წალენჯიხის ტვ ანძა	104.9	FM	V	წრიული	500	42°37'39"N 42°03'29"E	40	6
ჩხოროწყუ შპს კოლხეთი 89"-ის ანძა	107.1	FM	V	წრიული	500	42°31'14"N 42°07'32"E	25	6
ჯვარი, ჯვარის ტვ ანძა	103.2	FM	V	წრიული	500	42°43'31.51"N 42° 03'25.2"E	35	8

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატების მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

12. მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B157 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 27 თებერვლის №117/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B157 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 27 თებერვლამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი ა	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თელავი ცივის ანძა	102.3	FM	V	წრიული	500	41°52'13"N 45°24'35"E	20	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;



**13.** მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B158 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 27 თებერვლის №116/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B158 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 27 თებერვლამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ახალციხე სატელევიზიო ანძა	92.1	FM	V	წრიული	500	41°37'48"N 42°57'25"E	35	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**14.** მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B159 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 27 თებერვლის №115/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B159 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 27 თებერვლამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გამლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. გორი ახლდაბის ანძა	106.0	FM	V	წრიული	1000	42°01'56"N 44°02'51"E	150	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**15.** მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B163 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 26 ივნისის №337/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B163 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 26 ივნისამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ბათუმი	102.8	FM	V	წრიული	500	41°41'37"N 41°42'55"E	30	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**16.** მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B164 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 26 ივნისის №334/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B164 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 26 ივნისამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
--	---------------	-----------	-------------------	-----------	---------------------------	--------------------------	---	--------------------------------------

							ან (მ)	
ქ. ხაშური	102.3	FM	V	წრიულ ო	500	42°00'09"N 43°33'39"E	25	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**17. მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B165 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 26 ივნისის №335/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B165 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 26 ივნისამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემი ს და ანტენის განთავსები ს ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაც ია	პოლარ იზაცია V / H	გასხივე ბა	გადამცემ ის სიმძლავ რე (ვტ)	გეოგრაფიულ ო კოორდინატე ბი	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდ ან (მ)	ანტენის გამლიერებ ის კოეფიციენ ტი (დბ)
ქ. დმანისი	103.8	FM	V	წრიულ ო	500	41°22'38"N 41°12'51"E	50	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;

**18. მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B166 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 26 ივნისის №336/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. მიეცეს შპს "ევროპა პლუს თბილისს" კერძო მაუწყებლობის №B166 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2024 წლის 26 ივნისამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემი და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. ფოთი	102.1	FM	V	წრიული	500	42°11'16"N 41°42'03"E	60	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით;

**19. მოდიფიცირდეს შპს "ევროპა პლუს თბილისის" რადიომაუწყებლობის №B54 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 1 ივლისის №346/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა შპს "ევროპა პლუს თბილისის" კერძო მაუწყებლობის №B54 ლიცენზიას 2014 წლის 2 ივლისიდან 2024 წლის 2 ივლისამდე და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცია	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
ქ. თბილისი დიდსერის გორა	99.7	FM	V	წრიული	1000	41°41'27"N 44°44'52"E	70	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ვ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით;"

**20. მოდიფიცირდეს შპს "ვი-ესის" (კომისიის 2014 წლის 6 მარტის №125/5 გადაწყვეტილების და 2014 წლის 23 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შპს „ტელერადიოკომპანია ნოსტალგიის“ №B59 ლიცენზია გადაეცა შპს "ვი-ესის") რადიომაუწყებლობის №B59 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2011 წლის 30 დეკემბრის №838/6 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა შპს „ტელერადიოკომპანია ნოსტალგიის“ მაუწყებლობის №B59 ლიცენზიას 2021 წლის 31 დეკემბრამდე და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ე) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები და მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: რადიომაუწყებლობა 105.0 მგჰც სიხშირეზე 100 ვტ-ის სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით, ქ. ქუთაისი და მიმდებარე სოფლები;

**21.** მოდიფიცირდეს შპს "კომპანია მედიასტრიმის" რადიომაუწყებლობის №B172 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2015 წლის 8 იანვრის №14/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "კომპანია მედიასტრიმს" კერძო მაუწყებლობის №B172 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი) მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2025 წლის 8 იანვრამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
დაბა გუდაური	104.7	FM	V	მიმართული, აზიმუტი 30°	100	42°29'20"N 44°30'02"E	12	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომკლებით;"

**22.** მოდიფიცირდეს შპს "კომპანია მედიასტრიმის" რადიომაუწყებლობის №B173 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2015 წლის 8 იანვრის №13/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მიეცეს შპს "კომპანია მედიასტრიმს" კერძო მაუწყებლობის №B173 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;
- ბ) ლიცენზიის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
- გ) კერძო მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო მაუწყებლობა;
- დ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2025 წლის 8 იანვრამდე;
- ე) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
- ვ) მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	მოდულაცი	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
--	---------------	----------	-------------------	-----------	---------------------------	--------------------------	---	--------------------------------------

							ან (მ)	
ქ. თბილისი სატელევიზი ო ანძა	104.7	FM	V	წრიულ ო	500	41°41'44"N 44°47'05"E	78	6

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ზ) მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: გადამცემი სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების სახმელეთო ტერიტორია, რომელიც პირობითად შემოსაზღვრულია ამ ტერიტორიაზე განთავსებული სადგურის მიერ შექმნილი სამაუწყებლო დონის სიგნალის ზღვრული მინიმალური მნიშვნელობის მქონე წერტილთა ერთობლიობის მომვლებით;"

**23.** მოდიფიცირდეს შპს "კორტესი გიდაგოს" რადიომაუწყებლობის №B7 ლიცენზია, შევიდეს ცვლილება კომისიის 2015 წლის 9 სექტემბრის №544/22 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

